# კავკასიის მაცნე

# КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК

# CAUCASIAN MESSENGER

## №9

თბილისი – ТБИЛИСИ – TBILISI
2004

# კავკასიის მაცნე

# КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК

# CAUCASIAN MESSENGER

## №9

თბილისი – ТБИЛИСИ – TBILISI
2004

ალმანახის **კავკასიის მაცნე** დამაარსებლები:
Основатели альманаха **КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК**:
**CAUCASSIAN MESSENGER** is founded by:

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**
**НАЦИОНАЛЬНАЯ ПАРЛАМЕНТСКАЯ БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ**
**NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

**კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია**
**МЕЖДУНАРОДНАЯ АССОЦИАЦИЯ КАВКАЗОВЕДОВ**
**INTERNATIONAL ASSOCIATION OF CAUCASIOLOGISTS**

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМ. Ив. ДЖАВАХИШВИЛИ**
**Iv. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

**მოსკოვის სახელმწიფო ლინგვისტური უნივერსიტეტი**
**МОСКОВСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ**
**MOSCOW STATE LINGUISTIC UNIVERSITY**

ალმანახი **კავკასიის მაცნე** იბეჭდება ფირმა **ფილიპ მორისის** საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური ხელშეწყობით
**Альманах КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК издается при финансовой поддержке Представительства фирмы ФИЛИП МОРРИС в Грузии**
**CAUCASIAN MESSENGER is published by the financial support of PHILIP MORRIS Management Services B.V. Tbilisi Representative Office**

PHILIP MORRIS MANAGEMENT SERVICES B.V.
TBILISI REPRESENTATIVE OFFICE

ISSN 1512-0619



# კავკასიოლოგიური ძიებანი

*რედაქტორი*: ვ. კიკილაშვილი *(თბილისი)*,
*რედაქტორის მოადგილეები*: მ. ალექსეევი *(მოსკოვი)*, ე. შეიხოვი *(მაჰაჩყალა)*
*სწავლული მდივანი*: მ. ერქომაიშვილი (*თბილისი*)
*ტექნიკური რედაქტორი და დიზაინერი*: ი. რახმაკოვა (*თბილისი*)

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო: გ. ასკერხანოვი *(მაჰაჩყალა)*, ლ. ბერძენიშვილი *(თბილისი)*, გ. ბოჭორიშვილი *(თბილისი)*, თ. გამილაგდაშვილი-გაგუა *(ბილბაო)*, მ. ვაჰაბოვი *(მოსკოვი)*, ქ. ვივიანი *(კემბრიჯი)*, ს. ზაბიტოვი *(მოსკოვი)*, გ. თევზაძე (*თბილისი*), გ. თოფურია *(თბილისი)*, მ. იობი *(მარბურგი)*, ა. კარტოზია *(თბილისი)*, ჯ. კაშია *(პარიზი)*, ჯ. კვიციანი *(თბილისი)*, ე. კოპალიანი *(თბილისი)*, ც. კოჭლაშვილი *(თბილისი)*, რ. მეტრეველი *(თბილისი)*, ლ. მჭედლიშვილი *(თბილისი)*, გ. ნადირაშვილი *(თბილისი)*, მ. ოძელი *(თბილისი)*, ტ. სიხარულიძე *(თბილისი)*, რ. სტაროსტინი *(მოსკოვი)*, ქ. ტუიტი *(მონრეალი)*, ბ. უტიე *(პარიზი)*, ლ. ღვინჯილია (თბილისი), ი. ჩანტლაძე *(თბილისი)*, ვ. ჩერნი *(პრაღა)*, ა. ჩიტიძე (თბილისი), ი. ხალეევა *(მოსკოვი)*, გ. ხუხუნი *(მოსკოვი)*, ე. ჯგერენაია*(თბილისი)*, რ. ჯორბენაძე *(თბილისი)*.

***Редактор:*** В. Кикилашвили ***(Тбилиси)***
***Зам. редактора:*** М. Алексеев ***(Москва)***, Е. Шейхов ***(Махачкала)***
***Научный секретарь:*** М. Эркомаишвили ***(Тбилиси)***
***Тех. редактор и дизайнер:*** И. Рахмакова ***(Тбилиси)***

**Научно-редакционный совет:** Г. Аскерханов ***(Махачкала)***, Л. Бердзенишвили ***(Тбилиси)***, Г. Бочоришвили ***(Тбилиси)***, М. Вагабов ***(Москва)***, К. Вивиан ***(Кембридж)***, Т. Гамилагдашвили-Гагуа ***(Бильбао)***, Л. Гвинджилиа ***(Тбилиси)***, Э. Джгереная ***(Тбилиси)***, Р. Джорбенадзе ***(Тбилиси)***, С. Забитов ***(Москва)***, М. Йоб ***(Марбург)***, А. Картозия ***(Тбилиси)***, Дж. Кашия ***(Париж)***, Дж. Квициани ***(Тбилиси)***, Э. Копалиани ***(Тбилиси)***, Ц. Кочлашвили ***(Тбилиси)***, Р. Метревели***(Тбилиси)***, Л. Мчедлишвили ***(Тбилиси)***, Г. Надирашвили ***(Тбилиси)***, М.Одзели ***(Тбилиси)***, Т. Сихарулидзе ***(Тбилиси)***, Р. Старостин ***(Москва)***, Г. Тевзадзе ***(Тбилиси)***, Г. Топурия ***(Тбилиси)***, К. Туит ***(Монреаль)***, Б. Утье ***(Париж)***, И. Халеева ***(Москва)***, Г. Хухуни ***(Москва)***, И. Чантладзе ***(Тбилиси)***, А. Читидзе ***(Тбилиси)***, В.Черни ***(Прага)***

***Editor:*** V. Kikilashvili ***(Tbilisi)***
***Deputy Editors:*** M. Alexeev ***(Moscow)***, E. Sheikhov ***(Mahachkala)***
***Secretary:*** M. Erkomaishvili ***(Tbilisi)***
***Technical Editor-Designer:*** I. Rakhmakova ***(Tbilisi)***

**Scientific Editorial Board:** G. Askerkhanov ***(Mahachkala)***, L. Berdzenishvili ***(Tbilisi)***, G. Bochorishvili ***(Tbilisi)***, I. Chantladze ***(Tbilisi)***, V. Cherny ***(Prague)***, A. Chitidze ***(Tbilisi)***, T. Gamilagdashvili-Gagua ***(Tbilisi)***, L. Gvinjilia ***(Tbilisi)***, E. Jgerenaia ***(Tbilisi)***, M. Job ***(Marburg)***, R. Jorbenadze ***(Tbilisi)***, A. Kartozia ***(Tbilisi)***, J. Kashia ***(Paris)***, I. Khaleeva ***(Moscow)***, G.Khukhuni ***(Moscow)***, E. Kopaliani ***(Tbilisi)***, Ts. Kochlashvili ***(Tbilisi)***, J. Kviciani ***(Tbilisi)***, R. Metreveli ***(Tbilisi)***, L. Mchedlishvili ***(Tbilisi)***, G. Nadirashvili ***(Tbilisi)***, M. Odzeli ***(Tbilisi)***, B. Outtier ***(Paris)***, T. Sikharulidze ***(Tbilisi)***, S. Starostin ***(Moscow)***, G. Tevzadze ***(Tbilisi)***,G. Topuria ***(Tbilisi)***, K.Tuite ***(Montreal)***, M. Vagabov ***(Moscow)***, K. Vivian ***(Cambridge)***, S. Zabitov ***(Moscow)***

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ფილოსოფია

*ნ. ბერია.* იოანე პეტრიწის მიერ გამოყენებული ლოგიკური კანონები („განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის" მიხედვით) ........ 11

## სოციოლოგია

*ვ. პაპუაშვილი, ბ. გონჩაგი, ლ. მეზვრიშვილი.* საქართველოში საწარმოთა წარმატებული რესტრუქტურიზაციის შემთხვევები – სტრატეგიები და აქტორები ........ 18

## ეკოლოგია

*ნ. ურუშაძე.* მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს ზემოქმედების სისტემური ანალიზი ........ 31
*მ. ავთანდილაშვილი, ზ. რობაქიძე, დ. ჩალათაშვილი.* რადიაცია შთამომავლობას ემუქრება ........ 32

## ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია

*მ. ჯავახიშვილი.* ცნობები ალფონს ხითარიშვილის შესახებ ........ 36
*თ. ჯაფარიძე.* სუეცის არხის საკითხი ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში XIX საუკუნეში ........ 39
*მ. მშვილდაძე.* იუდეველები ახ. წ. 70-90 წწ. ........ 42
*ს. მ. ს. საჯადი.* დაპანეჰ-იე ყოლამანის კედლის მხატვრობა ........ 57
*ც. კოტეტიშვილი.* თბილისელ ქურთ-იეზიდ ქალთა ტანსაცმელი და სამკაული ........ 59
*პ. გერგაია.* ანარქიზმი – არსი და ძირითადი მიმდინარეობები ........ 64
*შ. რამიშვილი.* საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და საბჭოთა რუსეთი (1918 – 1919 წწ.) . 69
*ი. გოგოლიძე.* პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება და ბათუმის საკითხი 1918-1920 წწ. ........ 79
*ვ. სუხიტაშვილი.* ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობიდან ........ 84

## კულტურა

*ზ. თვალჭრელიძე, ზ. სხირტლაძე.* ლითონის ახლადგამოვლენილი ნივთები გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან ........ 87
*მ. ტაბლიაშვილი.* ფუგირებული ფორმა სულხან ცინცაძის კვარტეტებში ........ 95
*მ. ლეკბორაშვილი.* ქართული კინოს ჟანრული ტენდენციები – უძრაობის ეპოქის დრამა ........ 100
*ე. კვაჭატაძე.* საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიის დასავლეთი ფასადის დეკორის ხელკუკური ორნამენტული მოტივების გააზრებისათვის ........ 104
*ს. ხმიადაშვილი.* კანონური იმიტაციის როლი ა. შავერაზაშვილის შემოქმედებაში ........ 111
*ც. კილაძე.* შიომღვიმის მონასტრის " ჯვართამაღლების" ტაძრის მოხატულობის თეოლოგიური პროგრამა ........ 117
*ლ. სიხარულიძე.* კარაბადინის ახალი სიცოცხლე ........ 122
*თ. ურუშაძე.* მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების შესწავლის საკითხისათვის ........ 126
*ნ. გენგიური.* დვანის ეკლესიის გარე მასების რეკონსტრუქციის საკითხისათვის ........ 128
*ნ. გენგიური.* საქართველოსა და სომხეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება ........ 132

*ზ. ოიკაშვილი.* ოთარ თაქთაქიშვილის ჰარმონიის ეროვნული ნიშან-თვისებების ზოგიერთი საკითხი ........ 139

## ენათმეცნიერება

*ო. მიქიაშვილი.* ქართული პრესის ენის ჩამოყალიბების ისტორიისათვის (“საქართველოს გაზეთი”, “ქართული გაზეთი”) ........ 143
*ლ. ქობალია.* სიტყვათწყობის სისტემის კვლევის ძირითადი მიმართულებები გერმანისტიკაში 149
*ლ. ქობალია.* გაზეთის პუბლიცისტიკის ჟანრების კომპოზიციურ-სტილისტიკური სტრუქტურა 151
*ქ. სოხაძე.* დღე “კვირა” და ღვთაება “კვირია” ........ 152
*ს. ბერიკაშვილი.* ახალი ბერძნული ენის ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ........ 155
*ი. შაღური.* დერივატემათა ურთიერთგავლენა და წარმოქმნილ ფუძეთა გარდამავლობა აფხაზურ ზმნაში ........ 160
*ე. ბაკარაძე.* აბრევიატურული სიტყვაწარმოების ისტორია ........ 164

## ლიტერატურა

*ქ. ტატიშვილი.* დავით აღმაშენებლის განგების მიმართება ბიბლიურ წიგნებთან ........ 168
*მ. მაისურაძე.* ვადიმ კოროსტილევის პიესების ქვლივიძისეული თარგმანები ........ 171
*ზ. ცოტნიაშვილი.* რუსული გაზეთი კონფლიქტის შესახებ ........ 174
*ს. კვანტალიანი.* კონსტანტინე სავარსამიძე და ფრანც კაფკა ........ 179
*ე. ცხადაძე.* თანამედროვე ქართული ინტელექტუალური პროზის სტილური თავისებურება (გრიგოლ რობაქიძე) ........ 183
*დ. ფართლაძე.* მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს ........ 191
*ც. ბაბლოვანი.* ბავშვი და სამყარო ........ 195
*ლ. შათირიშვილი.* ბიბლიური ციტაცია ბასილი ანკვირიელის თხზულებაში “ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს” და მის ქართულ თარგმანში ........ 199
*ე. გურგენიძე.* ძე შეცთომილის პრობლემა გურამ ფანჯიკიძის რომანში “აქტიური მზის წელიწადი” ........ 201

## ფსიქოლოგია

*ნ. ყუფარაძე.* აზროვნების განმავითარებელი ერთი მეთოდის შესახებ ........ 203
*მ. არტემიძე.* გენეტიკური ფაქტორები და აგრესიულობა ........ 206
*დ. ნადირაშვილი.* უმრავლესობისა და დეფიციტის ფსიქოლოგიური ზეგავლენის ეფექტი ........ 210

## ბიბლიოთეკათმცოდნეობა

*ნ. ჩხენკელი.* საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების ტენდენციები ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის და საქართველოს ბიბლიოთეკებში ........ 215

# СОДЕРЖАНИЕ

## ФИЛОСОФИЯ

*Н. Берия.* Использование логических законов в труде Иоане Петрици ............................ 16

## СОЦИОЛОГИЯ

*В. Панькув, Б. Гончаж, Л. Мезвришвили.* Случаи успешной реструктуризации грузинских предприятий – стратегии и акторы ........................................................................ 27

## ЭКОЛОГИЯ

*Н. Урушадзе.* Системный анализ влияния окружающей среды на здоровье населения .... 29

*М. Автандилашвили, З. Робакидзе, Д. Чалаташвили.* Радиация угрожает потомству ....... 35

## ИСТОРИЯ, АРХЕОЛОГИЯ, ЭТНОГРАФИЯ

*М. Джавахишвили.* Материалы об Альфонсе Хитаришвили ............................................ 38

*Т. Джапаридзе.* Суэцкий вопрос в международных отношениях европейских стран в XIX веке ........................................................................................................ 41

*М. Мшвилдадзе.* Иудеи в 70-90 г.г. I в. н.э. ....................................................................... 45

*С. М. С. Саджжади.* Настенная роспись из Даханех-йе Коламан ...................................... 47

*Ц. Котетишвили.* Женская одежда и украшения тбилисских курдов-езидов .................... 63

*П. Гергаия.* Анархизм – сущность и основные направления ............................................ 67

*Ш. Рамишвили.* Вопрос независимости Грузии и Советская Россия (1918-1919 гг.) ......... 77

*И. Гоголидзе.* Противостояние политических сил и Батумский вопрос в 1918-1919 гг. .... 82

*В. Сухиташвили.* Из деятельности царевича Александра .................................................. 85

## КУЛЬТУРА

*З. Твалчрелидзе, З. Схиртладзе.* Нововыявленные металлические предметы из монастыря св. Иоанна Крестителя в Гареджи ...................................................... 92

*М. Таблиашвили.* Фугированные формы в квартетах С. Цинцадзе ................................... 98

*М. Лекборашвили.* Жанровые тенденции грузинского кино – драма эпохи застоя .......... 103

*Е. Квачатадзе.* Для осмысления сельджукских орнаментальных мотивов декора западного фасада Петропавловской церкви в Сагареджо ....................................... 109

*С. Хмиадашвили.* Роль канонической имитации в творчестве А. Шаверзашвили ............116

*Ц. Киладзе.* Теологическая программа росписи церкви "Вознесение Креста" в монастыре Шиомгвиме .................................................................................... 121

*Л. Сихарулидзе.* Новая жизнь "Карабадини" ................................................................... 124

*Т. Урушадзе.* К вопросу грузинского театрально-декорационного искусства 20-х годов XX века ...................................................................................................................... 125

*Н. Генгиури.* К вопросу реконструкции наружных масс церкви в Двани ......................... 131

*Н. Генгиури.* Некоторые особенности архитектуры средних веков Грузии и Армении ... 137

*З. Оикашвили.* Некоторые вопросы национальных особенностей гармонии О. Тактакишвили ........................................................................................... 141

## ЯЗЫКОЗНАНИЕ

*О. Микиашвили.* К истории формирования языка грузинской прессы ........ 146
*Л. Кобалия.* Основные направления в исследовании системы словосложения в германистике ........ 148
*Л. Кобалия.* Композиционно-стилистическая структура жанров газетной публицистики 150
*К. Сохадзе.* День недели “квира” (воскресенье) и божество Квириа ........ 153
*С. Берикашвили.* О классификации системы склонения в новогреческом языке ........ 158
*И. Шадури.* Взаимодействие дериватем и переходность производных глагольных основ в абхазском языке ........ 162
*Е. Бакарадзе.* История аббревиатурного словообразования ........ 167

## ЛИТЕРАТУРА

*К. Татишвили.* Отношение чина Давида Строителя к библейским книгам ........ 170
*М. Майсурадзе.* Пьесы В. Коростылева в переводах М. Квливидзе ........ 173
*З. Цотниашвили.* Русская газета о конфликте ........ 177
*С. Кванталиани.* К.Саварсамидзе и Ф.Кафка ........ 182
*Е. Цхададзе.* Стилистические особенности современной грузинской интеллектуальной прозы ( Григол Робакидзе) ........ 189
*Д. Партладзе.* Мне чангури нужен для того, чтобы служить истине ........ 193
*Ц. Бабловани.* Мир и ребенок ........ 198
*Л. Шатиришвили.* Библейская цитация в сочинении Василия Анкирского ”О девстве" и в его грузинском переводе ........ 200
*Э. Гургенидзе.* Проблема блудного сына в романе Г. Панджикидзе “Год активного солнца” ........ 202

## ПСИХОЛОГИЯ

*Н. Купарадзе.* Об одном методе развивающем мышление ........ 205
*М. Артемидзе.* Генетические факторы и агрессивность ........ 209
*Д. Надирашвили.* Психологическое влияние факторов дефицита и большинства ........ 214

## БИБЛИОТЕКОВЕДЕНИЕ

*Н. Чхенкели.* Тенденции развития справочно-библиографического обслуживания в библиотеках США, России и Грузии ........ 219

# CONTENTS


## PHILOSOPHY

*N. Beria.* Logical Law – used by Ioane Petritsi ........ 17

## SOCIOLOGY

*V. Pankuv, B. Gonchazh,. L. Mezvrishvili.* Cases of Successful Restructuring of Georgian Enterprises – Strategies and Actors ........ 28

## ECOLOGY

*N. Urushadze.* The System Analysis of the Effect of Environment on the Health of the Population ........ 31

*M. Avtandilashvili, Z. Robakidze, D. Chalatashvili.* Radiation Threatens Posterity ........ 35

## HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOGRAPHY

*M. Javakhishvili.* Materials on Alphonse Khitarishvili ........ 38

*T. Japaridze.* The Suez's Question in International Relations of European Countries in the 19th Century ........ 41

*M. Mshvildadze.* The Jews in 70-90 AD ........ 45

*S. M. S. Sajjadi.* Wall Painting from Dahaneh-ye Qolaman ........ 57

*P. Gergaia.* Anarchism – Essence and Major Tendencies ........ 67

*Sh. Ramishvili.* Problem of Independence of Georgia and Soviet Russia (1918-1919) ........ 77

*I. Gogolidze.* Confrontation of Political Powers and the Batumi Problem in 1918-1920 ........ 83

*V. Sukhitashvili.* From the Activity of Aleksandre Batonishvili ........ 86

## CULTURE

*Z. Tvalchrelidze, Z. Skhirtladze.* Newly Discovered Metal Objects from the Monastery of St. John the Baptist in the Gareja Desert ........ 93

*M. Tabliashvili.* The Fugue Forms in the Quartets by S. Tsintsadze ........ 99

*M. Lekborashvili.* Genre Tendencies of the Georgian Cinema – the Drama of the Stagnation Epoch ........ 103

*E. Kvatchatadze.* For Understanding of the Seljuk-Style Fret on the Western Facade of the St. Peter And St. Paul Church in Sagarejo ........ 109

*S. Khmiadashvili.* The Role of Canonic Imitation in Works of A. Shaverzashvili ........ 116

*Ts. Kiladze.* Theological Programme of the Wallpaintings of the Church-"Ascension of the Cross" in the Shiomgvime Monastery ........ 121

*L. Sikharulidze.* The Revival of the "Carabadini" ........ 124

*T. Urushadze.* For the Study of Georgian Theatrical Decorative Art of the Twenties of the 20th Century ........ 127

*N. Gengiuri.* On the Reconstruction of Exterior Masses of the Dvani Church ........ 131

*N. Gengiuri.* Some Features of Medieval Georgian and Armenian Architecture ........ 138

*Z. Oikashvili.* Some Questions of National Pecularities of the Harmony of O. Taktakishvili ........ 141

## LINGUISTICS

*O. Mikiashvili.* On the History of the Formation of the Georgian Press Language .................. 147
*L. Kobalia.* Main Directions in the Research of Composition System in Germanic Philology .. 149
*L. Kobalia.* The Compositional-Stylistic Structure of the Journalese Genre .......................... 151
*K. Sokhadze.* The Day of Week "kvira" (Sunday) and the Deity Kviria .................................. 154
*S. Berikashvili.* On the Classification of the Declination System in New Greek Language ....... 158
*I. Shaduri.* Interaction of Derivatemes and Transitiveness of Derived Verbal Stems in Abkhaz 163
*E. Bakaradze.* History of Abbreviated Word-Formation ........................................................ 167

## LITERATURE

*K. Tatishvili.* The Relationship between David the Builder's Rite and the Bible ....................... 170
*M. Maisuradze.* M. Kvlividze's Translations of the Plays by V. Korostilev .............................. 173
*Z. Tsotniashvili.* The Russian Newspaper about Conflict ...................................................... 177
*S. Kvantaliani.* Konstantine Savarsamidze and Frantz Kafka ................................................ 182
*E. Tzkhadadze.* The Stylistic Characteristics of the Modern Georgian Intellectual Prose (Grigol Robakidze) ........................................................................................ 190
*D. Partladze.* I Need Changuri to Serve the Truth ................................................................ 193
*Ts. Bablovani.* Child and the Universe ............................................................................... 198
*L. Shatirishvili.* Bible Citation in the Basil Ancyra's Work "On Virginity" and in Its Georgian Translation ........................................................................................................ 200
*E. Gurgenidze.* The Problem of Prodigal Son in the Novel by G. Panjikidze "The Year of an Active Sun" ............................................................................................... 202

## PSYCHOLOGY

*N. Quparadze.* Towards the one Method Developing of Thinking .......................................... 205
*M.Artemidze.* The Genetic Factors and Aggressiveness ........................................................ 209
*D. Nadirashvili.* The Psychological Impact of Majority Opinion and the Feeling of Deficit ..... 214

## LIBRARY SCIENCES

*N. Chkhenkeli.* Reference Service Developing Trends in the US, Russian and Georgian Libraries ............................................................................................................. 219

კავკასიის მაცნე, №9, 2004
КАВКАЗСКИЙ ВЕСТНИК, №9, 2004
CAUCASIAN MESSENGER, №9, 2004

ს. ბერიკაშვილი

# ახალი ბერძნული ენის ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის

ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მამამთავრად XX საუკუნის მეცნიერი მანოლის ტრიანდაფილიდისი ითვლება. მის ნაშრომს "ახალი ბერძნულის გრამატიკა" ("Νεοελληνική γραμματική (της Δημοτικής)") დღესაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბერძნულ ენათმეცნიერებაში [1: 180-202].

ბერძნული ენის ბრუნების სისტემის გამოყოფისას, მ. ტრიანდაფილიდისი იზიარებს XIX საუკუნის ცნობილი ენათმეცნიერის ა. თუმბის თვალსაზრისს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბერძნული ენის ბრუნების სქესების მიხედვით დაყოფას [2: 39-40].

მ. ტრიანდაფილიდისის სისტემით, ცალკე განიხილება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელები, რომლებიც თავის მხრივ, იყოფა თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან სიტყვებად.

არათანაბარმარცვლიანებს, თანაბარმარცვლიანებისაგან განსხვავებით, მრავლობითი რიცხვის ფორმებში, მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვასთან შედარებით, ერთი მარცვლით მეტი აქვთ. მრავლობით რიცხვს ისინი, ძირითადად, -δες სუფიქსის საშუალებით აწარმოებენ [3: 225].

საშუალო სქესის სახელებს ერთი მარცვლით მეტი აქვთ არა მხოლოდ მრავლობით, არამედ მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშიც [3: 226].

პირველი ტიპის ბრუნებაში შედის მამრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს განეკუთვნება მამრობითი სქესის -ας, -ης, -ες, -ους ბოლოკიდურიანი არსებითი სახელები, მეორე ჯგუფს კი -ος ბოლოკიდურიანები.

მეორე ტიპის ბრუნებაში შედის მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -α, -η, -ω, -ος, -ου-ზე.

მესამე ტიპის ბრუნებაში შედის საშუალო სქესის არსებითი სახელები; იყოფა ორ ჯგუფად: თანაბარმარცვლიანები, რომლებიც ბოლოვდება -ο, -ι, -ος-ზე და არათანაბარმარცვლიანები, რომლებიც ბოლოვდება -μα, -σιμο, -ας, -ως-ზე.

მანოლის ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებული სისტემა შემდგომში ახალი ბერძნული ენისათვის საყოველთაოდ აღიარებული გახდა. სქემის სახით ეს სისტემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

| მ. ტრიანდაფილიდისი | | | | |
|---|---|---|---|---|
| I | | II | III | |
| მამრობითი სქესის სახელები | | მდედრობითი სქესის სახელები | საშუალო სქესის სახელები | |
| -ας, -ης, -ες, -ους | -ος | -α, -η, -ω, -ος, -ου | -ο, -ι, -ος | -μα, -σιμο, -ας, -ως |

თუმცა ყველა მეცნიერი მას არ ემხრობა და არსებობს ალტერნატიული კლასიფიკაციებიც. ბრუნების ალტერნატიული კლასიფიკაციებიდან, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მ. ფილინტასი, რომელმაც თავის წიგნში "ბერძნული ენის გრამატიკა" (Μ. Φιλήντας "Γραμματική της Ρωμαίικης γλώσσας"), პირველმა მოგვცა ახალი კლასიფიკაცია. მან ბრუნების ორი ტიპი შემოგვთავაზა. საფუძვლად აიღო თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა, ცალკე გამოჰყო აგრეთვე ზოგიერთი ორმაგი ბრუნების სახელი [4: 209].

საინტერესოა აგრეთვე ა. მირამბელის კლასიფიკაცია. ბრუნების ტიპების გამოყოფისას იგი საფუძვლად ბრუნვის ნიშნებს იღებს და სამ ბრუნებას გვთავაზობს: 1. ბრუნება ოთხი დაბოლოებით (ბრუნვის ნიშნით); 2. ბრუნება სამი დაბოლოებით; 3. ბრუნება ორი დაბოლოებით [5: 89-97].

პ. მაკრიჯი გამოჰყოფს არსებითი სახელების სამ კატეგორიას. პირველ კატეგორიაში შედის ორი ბრუნვის ნიშნის მქონე არსებითი სახელები. თავის მხრივ, ეს კატეგორია დაყოფილია ორ ქვეკატეგორიად: მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებად. მეორე კატეგორიაში გაერთიანებულია ის არსებითი სახელები, რომელთაც ნათესაობით ბრუნვაში აქვთ -ου დაბოლოება. თავის მხრივ ეს სახელები სამ ქვეკატეგორიად იყოფა. პირველ ქვეკატეგორიაში შედის -ος-ზე დაბოლოებული მამრობითი სქესის სახელები (არის რამდენიმე მდედრობითი სქესის სახელიც), მეორე ქვეკატეგორიაში შედის -ο-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელები, ხოლო მესამე ქვეკატეგორიაში -ι-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელები. მესამე კატეგორიაში შედის საშუალო სქესის სახელების რამდენიმე განსხვავებული ჯგუფი, რომლებიც, ძირითადად, ორ ქვეჯგუფზე დაიყვანება: არათანაბარმარცვლიან და თანაბარმარცვლიან სახელებზე [6: 215-219].

გ. ზუკისი თავის ნაშრომში "ახალი დიმოტიკის გრამატიკა" (Γ. Ζούκης, "Γραμματική της Νεοδημοτικής"), ძველი ბერძნულის კვალობაზე, ახალ ბერძნულშიც გამოჰყოფს სამი ტიპის ბრუნებას. პირველ ბრუნებას მიაკუთვნებს მამრობითი სქესის -ας, -ης, -ες და მდედრობითი სქესის -α, -η ბოლოკიდურიან სახელებს, მეორე ბრუნებაში აერთიანებს მამრობითი სქესის -ος, -ους, მდედრობითი სქესის -ος, -ους, -ω და საშუალო სქესის -ο, -ι ბოლოკიდურიან სახელებს, ხოლო მესამე ბრუნებაში ათავსებს სამივე სქესის, ისტორიულად ძველი ბერძნულის მესამე კანკლედობის სხვადსხვა დაბოლოების მქონე სახელებს [7: 47-73].

სქემის სახით ეს კლასიფიკაცია ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

| ა. მირამბელი | | | პ. მაკრიჯი | | | გ. ზუკისი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | I | II | III | I | II | III |
| 4 ბრ. ნიშნით | 3 ბრ. ნიშნით | 2 ბრ. ნიშნით | 2 ბრ. ნიშნით | გენ. ου დაბოლოებით | საშ. სქესის სახელები | -ας, -ης, -ες; -α, -η | -ος, -ους, -ω, -ο, -ι | III კანკლ. სახელები |
| -ος მხ. რ. | -ος მრ. რ. | -ας, -ης, -α, -η, -ι, -ο, -μα | -ας, -ης, -α, -η | -ος, -ο, -ι | -μα, -σιμο, -ας | | | |

ბრუნებათა ალტერნატიულ კლასიფიკაციას გვთავაზობს აგრეთვე ა. ცოპანაკისი. იგი აღნიშნავს, რომ ბერძნული ენის ბრუნების სისტემა არ შეიძლება დაუკავშირდეს სქესის კატეგორიას. საფუძვლად იგი იღებს არა სქესს, არამედ სხვადასხვა ბრუნვაში საერთო ბრუნვის ნიშნებს.

1956 წელს გამოცემულ წიგნში "ჩვენი ბრუნების სისტემა" (Α. Τσοπανάκης, "Το κλιτικό μας σύστημα") იგი გამოჰყოფდა ბრუნების ექვს ტიპს: პირველი ბრუნება – მამრობითი სქესის ας, -ης, მდედრობითი სქესის -α, -η, -ω ბოლოკიდურიანი თანაბარმარცვლიანი სახელები; მეორე ბრუნება – მამრობითი და მდედრობითი სქესის -ος და საშუალო სქესის -ο, -ι ბოლოკიდურიანი სახელები; მესამე ბრუნება – მამრობითი სქესის -ς, -ας, -ης, მდედრობითი სქესის -α, -η, -ω ბოლოკიდურიანი არათანაბრმარცვლიანი სახელები; მეოთხე ბრუნება – საშუალო სქესის -ς, -ον, -ο, -α ბოლოკიდურიანი სახელები; მეხუთე ბრუნება – მამრობითი სქესის -εας, -ης, მდედრობითი სქესის -η ბოლოკიდურიანი სახელები; მეექვსე ბრუნება საშუალო სქესის -ος ბოლოკიდურიანი სახელები [8: 123].

მოგვიანებით 1994 წელს გამოცემულ "ახალი ბერძნულის გრამატიკაში" (Α. Τσοπανάκης, "Νεοελληνική γραμματική"), ა. ცოპანაკისმა შეცვალა თავისი აზრი და სახელთა თანაბარმარცვლოვანებიდან გამომდინარე, სამი ბრუნება გამოჰყო. პირველ ბრუნებაში მან გააერთიანა თანაბარმარცვლიანი, მამრობითი სქესის -ας, -ης და მდედრობითი სქესის -α, -η, -ω ბოლოკიდურიანი სახელები; მეორე ბრუნებაში თანაბარმარცვლიანი მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის -ος, და საშუალო სქესის -ο, -ι ბოლოკიდურიანი სახელები, მესამე ბრუნებაში კი ყველა არათანაბარმარცვლიანი სახელები შეიტანა [8: 122].

| ა. ცოპანაკისი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძველი სისტემა | | | | | | ახალი სისტემა | | |
| თანაბარმარცვლიანი | | არათანაბარმარცვლიანი | | არქაული | | თანაბარმარცვლიანი | | არათანაბარმარცვლიანი |
| მამრ. მდედრ. | მამრ. საშ. | მამრ. მდედრ. | საშ. | მამრ. მდედრ. | საშ. | მამრ. მდედრ. | მამრ. მდედრ. საშ. | მამრ. მდედრ. საშ. |
| -ας, -ης, -α, -η, -ω | -ος, -ο, -ι | -ς, -ης, -ας, -α, -ου, -ε | -ς, -ον, -ο, -α | -εας, -ης, -η | -ος | -ας, -ης, -α, -η, -ω | -ος, -ο, -ι | -ας, -ης, -ες, -ους, -α, -ου, -ε, -μα, -σιμο, -ας, -ον |

დ. ჰოლტონის, პ. მაკრიჯის და ი. ფილიპაკი-უორბურთონის გრამატიკაში ბრუნების სისტემა მიჰყვება ტრიანდაფილიდისეულ დაყოფას ანუ აქ ბრუნების ტიპები სქესის კატეგორიას უკავშირდება. მ. ტრიანდაფილიდისაგან განსხვავებით, მამრობით, მდედრობით და საშუალო სქესის სახელებთან ცალკეა განხილული ზოგადი სქესის სახელები [9: 51-75].

ხ. კლერისი და გ. ბაბინიოტისი ბრუნების სისტემაზე მსჯელობისას შემდეგ სქემას გვთავაზობენ [10: 15-17]:

| ხ. კლერისი, გ. ბაბინიოტისი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორდაბოლოებიანი | | | | | | სამდაბოლოებიანი | |
| თანაბარმარცვლიანი | | | არათანაბარმარცვლიანი | | | თანაბარმარცვლიანი | |
| მამრ. | მდედრ. | საშ. | მამრ. | მდედრ. | საშ. | მამრ. | მდედრ. |
| -ας | -α | -ο | -ας | -α | -μα | -ος | -ος |
| -ης | -η | -ι | -ης | -ου | -εας | | |
| -εας | -ος | | -ες | -η | -ον | | |
| | | | -ους | | -σιμο | | |

საინტერესოა აგრეთვე, რ. გორდეზიანის, ი. დარჩიასა და ს. შამანიდის მიერ შემოთავაზებული ბრუნების სისტემის კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია 2001 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "ძველი და ახალი ბერძნული (შედარებითი გრამატიკა)". ავტორების აზრით, ახალ ბერძულ ენაში ბრუნების კლასიფიკაციის დროს უნდა მოვიშველიოთ ის პრინციპი, რომელიც ძველ ბერძნულში გამოიყენება. ამ შემთხვევაში ახალ ბერძნულში უნდა გამოიყოს ოთხი ბრუნება. მხოლობითი რიცხვის გენეტივში პირველი ბრუნებისათვის დამახასიათებელი იქნება -ας ან -α, -ης ან η დაბოლოებები, მეორე ბრუნებისათვის -ου ბოლოკიდური, მესამე ბრუნებისათვის ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელი -ος, -ους დაბოლოებანი, ხოლო მეოთხე შერეულ ბრუნებაში მოიქცევიან ის სახელები, რომლებიც ბრუნებისას გვიჩვენებენ ფუძის ორ ვარიანტს: გავრცობილსა და გაუვრცობელს [11: 58].

| რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი | | | |
|---|---|---|---|
| I | II | III | IV |
| α ფუძიანი სახელები | ο ფუძიანი სახელები | III კანკლედობის საშუალო სქესის სახელები | სახელები, რომელთა მრ. რ.-ში ხდება ფუძის გავრცობა -δ-ს საშუალებით |
| ისტორიულად III კანკლედობის სახელები, რომელიც ძველი ბერძნულის I კანკლედობის ანალოგიით იბრუნვის | ისტორიულად III კანკლედობის სახელები, რომელიც ძველი ბერძნულის II კანკლედობის ანალოგიით იბრუნვის | ზმნებიდან ნაწარმოები -σιμο დაბოლოებიანი სახელები | |
| ι და ευ ფუძიანი სახელები | -ιον დაბოლოებიანი სახელები | | |

ჩვენი აზრით, ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისას უნდა დავეყრდნოთ, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტურ პრინციპს, ანუ ყურადღება უნდა მივაქციოთ ფუძისეულ დაბოლოებას. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ენას ახასიათებს გამარტივების ტენდენცია, უფრო მისაღები იქნება ის კლასიფიკაცია, რომელიც გაუადვილებს ბერძნული ენის შემსწავლელს ბრუნების სისტემის გაგებას. რა თქმა უნდა, არც ისტორიული ფაქტორის უგულებელყოფა არ შეიძლება.

ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაციებიდან ყველაზე სარწმუნოდ უკანასკნელი მიგვაჩნია, ვინაიდან:

ა) იგი ეყრდნობა ლინგვისტურ საფუძველს, ანუ ყურადღება ენიჭება ფუძისეულ დაბოლოებას;

ბ) ძველი ბერძნულის მონაცემებით ახსნილია ახალი ბერძნული ენის სახელების ზოგიერთი ფორმა, რაც უფრო ადვილს ხდის მათ დამახსოვრებას, მაგალითად, ისტორიულად III კანკლედობის ι და ευ ფუძიანი სახელები შერწყმულ ბრუნებას გვიჩვენებენ, მხოლობითში იბრუნვიან ძველი ბერძნულის I კანკლედობის, ხოლო მრავლობითში III კანკლედობის სახელების ანალოგიით. ძველი ბერძნულის არცოდნის გარეშე დამაბნევებელია მრავლობით რიცხვში -εις დაბოლოების გაჩენა -ες-ის ნაცვლად;

გ) ცალკეა გამოყოფილი შერეული ბრუნების ტიპი, სადაც ხდება სახელთა გავრცობა -δ- სუფიქსის საშუალებით.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

С. БЕРИКАШВИЛИ

# О КЛАССИФИКАЦИИ СИСТЕМЫ СКЛОНЕНИЯ В НОВОГРЕЧЕСКОМ ЯЗЫКЕ

*Резюме*

Статья касается проблемы классификации системы склонения в новогреческом языке. В статье представлена короткая характеристика всех классификаций, известных в современной научной литературе, включая признаную систему М. Триандафилидиса, а также все другие альтернативные классификации. Высказано мнение, что из данных классификаций наиболее приемлема система склонения, представленная Р. Гордезиани, И. Дарчия и С. Шаманиди в книге "Древнегреческий и новогреческий (сравнительная грамматика)", изданной в 2001г., что доказывается соответствующими положениями приведенными в данной статье.

S. BERIKASHVILI

# ON THE CLASSIFICATION OF THE DECLINATION SYSTEM IN NEW GREEK LANGUAGE

*Summary*

The paper offers to the problem of the classification of the declination system in New Greek Language. There's given a small characteristic of all classifications that exist in modern scientific literature, including accepted classification given by M. Triandafilidis and other alternative systems as well. According to our opinion, the most trustworthy declination system is given by R. Gordeziani, I. Darchia and S. Shamanidi in their work "Ancient and Modern Greek (Comparative grammar)", published in 2001, that is approved with conformable statements given in the paper.

**ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENSES**


1. *Κριαράς Ε.* Ιστορικά της Γραμματικής του Μανόλη Τριανταφυλλίδη, ανάτυπο από το βιβλίο: Τα πεντάλεπτά μου στην ΕΡΤ και άλλα γλωσσικά, Θεσσαλονίκη, 1987.
2. *Thumb A.* Handbuch der Neugriechischen Volkssprache, Strassburg: Verlag von Karl J. Brüner, 1910.
3. *Τριανταφυλλίδης Μ.* Νεοελληνική γραμματική (της δημοτικής). Αθήναι: Οργανισμός Εκδώσεως Σχολικών Βιβλίων, 1941.
4. *Τσοπανάκης Α.* Νεοελληνική γραμματική. Θεσσαλονίκη-Αθήνα: Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη, Βιβλιοπωλείον της Εστίας Ι. Δ. Κολλέρου & Σ[ιας] 1994.
5. *Mirambel A.* Η Νέα Ελληνική Γλώσσα, περιγραφή και ανάλυση, μετάφραση Καρτζά Κ. Θεσσαλονίκη: έκδοση Αριστοτέλειο Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης, 1988.
6. *Mackridge P.* Η Νεοελληνική γλώσσα. Αθήνα: εκδόσεις Πατάκη, 1990.
7. *Ζούκης Α.* Γραμματική της νεοδημοτικής. Αθήνα: βιβλιοπωλείον της "Εστίας", 1963.
8. *Τσοπανάκης Α.* Το κλιτικό μας σύστημα. Θεσσαλονίκη: έκδοση Αριστοτέλειο Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης, 1956.
9. *Holton D., Mackridge P., Φιλιππάκη-Warburton E.*, Γραμματική της Ελληνικής Γλώσσας, μετάφραση Σπυρόπουλος Β. Αθήνα: εκδόσεις Πατάκη, 2000.
10. *Κλαίρης Χ., Μπαμπινιώτης Γ.* Γραμματική της Νέας Ελληνικής, Ι. Το Όνομα, αναφορά στον κόσμο της πραγματικότητας. Αθήνα: Ελληνικά γράμματα, 1998.
11. *გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს.* ძველი და ახალი ბერძნული (შედარებითი გრამატიკა), თბ.: ლოგოსი, 2001.